№1122 2015 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის მოსარგებლე პაციენტებისათვის საჭირო მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №1014 განკარგულების ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის მიწოდებამდე, მიეცეს უფლება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უზრუნველყოს „ნარკომანიის“ პროგრამის ფარგლებში შესყიდული ფარმაცევტული პროდუქტის (3000 ფლაკონი 10მგ/მლ 100მლ ფორმის მეთადონის ჰიდროქლორიდი) უსასყიდლოდ გადაცემა სამინისტროს

სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრისათვის, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტით დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის ფარგლებში მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტების შეუფერხებელი მკურნალობისათვის.

2. მიეცეს უფლება სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №1014 განკარგულების ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის მოწოდებისთანავე უზრუნველყოს სააგენტოს მიერ გადაცემული შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის (3000 ფლაკონი 10მგ/მლ 100მლ ფორმის მეთადონის ჰიდროქლორიდი) იმავე ფორმით სააგენტოსათვის უკან დაბრუნება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**